საქართველოს
ფოლკლორის
სახელმწიფო
ცენტრი

2016 წლის I კვარტლის ანგარიში

❖ 15 იანვარს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ორგანიზებით გაიმართა „ქალაქური ფოლკლორის საღამო". სპეციალურად ამ საღამოსთვის წარმოდგენილ ექსპოზიციაზე გამოიფინა მუზეუმში დაცული ქალაქური ფოლკლორის ექსპონატები. ღონისძიების მხარდამჭერი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

❖ 28 იანვარს საათზე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის დალი ხაჭაპურიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა რომელიც მიეძღვნა მხატვრის დაბადებიდან 75 წლისთავს.

❖ 10 თებერვალს საქათველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელი ეთერ თათარაიძე, რეგიონული პროექტების სამსახურის უფროსი თამარ ახობაძე, იმყოფებოდნენ ახმეტის რაიონის სოფელ საკობიანოში გაბრიელ გარაშვილის ოჯახში მომავალ ფილმზე სამუშაოდ.

❖ 11 თებერვალს საქართველოს ფოლკორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. წარმოდგენილი იყო სტუდენტების და მასწავლებლების მიერ შექმნილი ეროვნული სამოსი, აქსესუარები, ტყავის, თექის, გობელენის, ხის, მინანქრის ნამუშევრები და პოლიგრაფიული ნაწარმი. ასევე, კოლეჯის ქართულ – ესტონური პროექტში მონაწილეობის და ევროკავშირთან ურთიერთობის თემისადმი მიძღვნილი მასალები.

❖20-21 თებერვალს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონების სალოტბარო სკოლების მონიტორინგი ხობში, წალენჯიხასა და ფოთში. სადაც იმყოფებოდნენ ფოლკლორის ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი გაბუნია, რეგიონალური პროექტების სამასახურის კოორდინატორი მიხეილ ჯავახიშვილი და საარქივო სამსახურის კოორდინატორი თეონა რუხაძე იმყოფებოდნენ

❖ 23 თებერვალს, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენი დარბაზში გაიხსნა ვენდო წურწუმიას და ომარ ხუბულურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.
გამოიფინა: ქართული ტრადიციული ლურჯი სუფრები, ლურჯი სუფრის ორნამენტებითა და ნახატებით შემკული კერამიკული ნაწარმი და ტიხრული მინანქარის ნიმუშები.

❖ 24 თებერვალს, მესტიაში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მორიგი სალოტბარო სკოლა გაიხსნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ.
დღეისათვის საქართველოს მასშტაბით სულ 14 სალოტბარო სკოლა ფუნქციონირებს. წელს კი მათი რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

❖ 9 მარტს არტოს ბაღში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრებს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ანზორ ერქომაიშვილი სამეგრელოსა და გურიაში არსებულ სალოტბარო სკოლებს ქართული ხალხური სიმღერების სანოტო კრებულებსა და ქართველ ლოტბართა მონოგრაფიებს გადასცემს.

❖10 მარტს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა არაპროფესიონალი მხატვრის ნიკოლოზ გამცემლიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.
გამოიფინა: 120-მდე ფერწერული ტილო და კერამიკის ნიმუში.

❖ 22 მარტს, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის (დირექტორი დეკანოზი მირიან სამხარაძე) მოსწავლეთა და სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა: ფერწერა, ხატწერა, ტიხრული მინანქარი, თექა, ტანსაცმლის მოდელირება, ხის მხატვრული დამუშავება.

❖ 29 მარტს ბაღდათის ახალგაზრდული ცენტრის შენობის სააქტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა რიგით მე-16 სალოტბარო სკოლა.
ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი ანზორ ერქომაიშვილი, ფოლკლორის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ ჭკუასელი, იმერეთის მხარის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, მხარის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები, იმერეთის მხარის გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები, ასევე ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი და ეპარქიის სხვა წარმომადგენლები.

- გამოსაცემად მზად არის დავით ჯავრიშვილის ანთოლოგია

- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „რაჟდენ ხუნდაძე"

- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე -„ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.

- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „როსტომ გოგოლაძე“

- მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

- რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

- ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის შესავსებად.